№ 130 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, ივნისის 13 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 30-ს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. სიღნაღში, საერობო გამგეობის ბინაზედ სამაზრო საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ.
2. 1920 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
3. ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
4. თანახმათ 11 ივლისის 1919 წ. კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

6. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას. 630 5—4

## სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს ივნისის 14-ს

## მ. პერინის საბალეტო სკოლის სპექტაკლი

სამშაბათს, ივნისის 15-ს სეზონის დახურვა და ნანობაშვილის ბენეფისი, შულგინას მონა. წილეობით „კარმენი".

## გზათა ტეხნიკოსის ხარისხის მისაღებად გამოცდები

დაიწყება 22 ივნისს დილის 10 საათ. ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) მსურველებმა გამოცდებზე დაშვების უფლება უნდა მიიღონ გზათა დეპარტამენტიდან, სადაც უნდა წარადგინონ მოწმობა სასწავლებლის გათავების და საბუთები პრაქტიკული მუშაობის შესახებ. თავმჯდომარის სახელზე შემოტანილ უნდა იქნეს თხოვნა, გზათა დეპარტამენტის ნებართვა და გამოცდებისთვის დაწესებული გადასახადი.

1458 გამომცდელი კომისიის თავმჯდომარე ინჟ. ვ. კაკაბაძე.

## ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია

კვირას, 1920 წ. 4 ივლისს დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე (ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5). კრების სავანი:

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ანგარიშისა.
2. 1919 წლის წმინდა მოგების განაწილება.
3. 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდება ხუთამდის.
5. არჩევნები გამგეობის წევრებისა ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარის ი. ლორთქიფანიძისა და გამგეობის წევრების რ. დათეშიძის და რ. დუმბაძისა, რომლებმაც სამსახურს თავი დაანებეს და ორი ახალი წევრისა.
6. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხები.

თუ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდა აქციონერთა საკმაო რიცხვი (§ 66), იმავე ადგილას, კვირას, 18 ივლისს, დილის 10 საათზე გაიმართება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე აქციონერთა რაოდენობისა. (§ 67).

შენიშვნა: უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკან აღარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიუღია შესანახად ანუ გირაოდ როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქმნას ნაჩვენები აქციების ნომრები. 644 4—1

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიური კრება საბებიო ინსტიტუტის შენობაში (26 მაისის ქ., ყოფილ ოლღას ქ.)

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. წლიური მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
4. წესდების ზოგიერთ მუხლის შესწორება.
5. მთავარ სამმართველოს დამატებით წევრთა და კანდიდატთა არჩევნები.

თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვთა გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების § 70 კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 1452 2—1

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ

**საზოგადოების საწყობებიდან ყოველგვარი ქონება თავისუფლად იყიდება**

და მოსალოდნელია ზოგიერთი საქონელი კერძო პირებმა შეისყიდონ სავსებით და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათათვის აღარ დარჩეს მათთვის საჭირო საგნები. ამიტომ გამგეობა აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ მათთვის საჭირო საგნები იყიდონ დაჩქარებით. ქონება იყიდება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ გადაჭრილ ფასებში; დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გამგეობის წევრის ი. მ. ჩიქოვანისაგან ყოველდღე, 11 საათიდან 1-მდე (რესპუბლიკის, ყოფილი პეტრე დიდის ქ., № 8). 643 2—1

## ჩემ მიერ მიცემული რწმუნება ინჟენერ-ტეხნოლოგ ნესტორ დიმიტრის-ძე ცინცაძის

ს ა ხ ე ლ ზ ე

ჩემი საქმეების წარმოებისათვის, როგორც სახელმწიფო ისე საზოგადო დაწესებულებებში საქართველოში ყოველგვარ კონცესიების მისაღებათ, მიმდინარე წლის 2 იანვარს ქ. ბათუმში, ბათუმის ნოტარიუსის კ. კ. პრუსკის მიერ მოცემული, რეესტრი № 15 და ყოველგვარი მინდობა ბ. ცინცაძის მიერ გაკეთებული ჩემ მიერ მიცემული რწმუნების თანახმათ

**ვაცხადებ გაუქმებულად.**

1448 გუიზ ალფრედის ძე გიზი

## ოფიციალური განყოფილება

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების მიმართ.**

3 ივნისი, 1920 წ. ქ. ტფილისი № 36.

როგორც სენატორ რონიშვილმა მაცნობა მის მიერ დასავლეთ საქართველოს სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსი, მაიორი ანჯაფარიძე და ზუგდიდისა — კაპიტანი ბაქრაძე თავიანთ მოვალეობას სრული ენერგიით, დიდი გამოცდილებით და მეტის-მეტ ზნეობრივი სიფაქიზით ასრულებენ, რის გამო აღნიშნულ აღრიცხვის ნაწილებში მუშაობა მიმდინარეობს სავსებით ნორმალურათ და სათანადო ნაყოფიერებით.

ვღებულობ-რა მხედველობაში იმ მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობას, რომელიც დღეს ვალათ აწევს სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსებს, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გამოვუცხადო სამსახურის პირით მაიორ ანჯაფარიძეს და კაპიტან ბაქრაძეს ჩემი გულწრფელი მადლობა და ვუსურვო მათ მომავალში უფრო ძლიერი მხნეობა და ხანგრძლივი ჯაფის უნარი რესპუბლიკის ნორჩი ჯარის შექმნა-განმტკიცების საქმეში.

საფუძველი: სენატორ რონიშვილის მიმართვა 1920 წ. 25 მაისიდან № 159.

**გენერალი ზაქარიაძე**

## განკარგულებანი

**სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.**

13 მაისი, 1920 წ. № 59.

**მიენიჭოს:** ფოთის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს სევერიან მჟავანაძეს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება ბუნებრივ მეტყველებასა და გეოგრაფიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1919 წ. 1 აპრილიდან.

13 მაისი, 1920 წ., № 60.

**მიენიჭოს:** ხონის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს ბარბარე ფარცხალაძეს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენასა და ისტორიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის პირველ აპრილიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 61.

**მიენიჭოს:** ქუთაისის ქალთა პირველ გიმნაზიის მასწავლებელს ალექსანდრე ჭირაქაძეს საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან.

21 მაისი, 1920 წ. № 62.

**მიენიჭოს:** ფოთის ვაჟთა გიმნაზიასთან არსებულ უ. დ. ს. მასწავლებელს ელენე სამსონის ასულს კახიძეს უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1919 წლის 1 სექტემბრიდან.

6 მაისი, 1920 წ. № 58.

**გადაყვანილ იქმნა:** საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე ალექსანდრე სვანიძე რესპუბლიკის ცენტრალურ სამეცნიერო არქივის სამოქალაქო განყოფილების გამგედ, მიმდინარე წლის 1 მაისიდან.

**დანიშნულ იქმნას:** ამავე არქივის სასულიერო განყოფილების გამგედ პავლე ინგოროყვა მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.

განათლების მინისტრის მაგ.

**ნ. ცინცაძე.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

8 ივნისი, 1920 წ., № 176.

**დაინიშნოს** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ მარიამ გრიგოლ გაბაშვილის ასული ამა წლის ივნისის 9-დან.

№ 177.

**დაინიშნა** იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის საქმის მწარმოებლად რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა ამა წლის ივნისის 1-დან.

№ 178.

**დაევალა:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის ბუღალტერის თანაშემწის თანამდებობის აღსრულება სამინისტროს კანცელარიის მოხელეს ელენე რომანოზ ფორაქიშვილის ასულს ამა წლის ივნისის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორი

**გ. ჟორდანია.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

8 ივნისი, 1920 წ., № 179.

**მოწვეულ იქმნას:** იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე თევდორეს ძე ალხოვი თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის ივნისის 1-დან.

8 ივნისი, 1920 წ., № 180.

**დაინიშნოს:** საპყრობილეთა ცენტრალურ საავადმყოფოს ექიმად სამსონ იზრაილის ძე რატნერი ამა წლის ივნისის 11-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქ. სამინისტროში

**მდინარე ცხენის წყლის ნაპირების გამაგრება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიტანა განსახილველად დამფ. კრებაში სენაკის სამაზრო ერობის შუამდგომლობა სამელიორაციო მუშაობისათვის და მდინარე ცხენის წყლის ნაპირების გასამაგრებლად 480,000 მან. სესხის მიცემის შესახებ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ უარჰყო ეს შუამდგომლობა და დაადგინა დაუბრუნდეს იგი შინაგან საქმეთა სასინისტროს შენიშვნით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეუძლებელია განსაკუთრებულ ფონდიდან, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულებაში ერობებზე სესხის მისაცემათ, შესაფერი სესხის მიცემა.

**საექიმო დახმარება ხოლერის მცხოვრებთათვის.**

თანახმად დამფ. კრების დასტურისა შინაგან საქმეთა სამინისტრო მედიკო-სასანიტარო ბიურომ დაადგინა გახსნას ახალციხის მაზრაში ახალი ამბულატორიები, ვინაიდან

სოფლის მცხოვრებლებს დიდათ ესაჭიროებათ საექიმო დახმარება.

### სესხი ერობებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება, რათა გაღებულ იქნას ასს მილიონიან ფონდიდან ერობათათვის სესხათ მისაცემად ავანსების სახით ოთხ ერობას: თიანეთის, გუმისტანის, რაჭისას და კოდორისას. 16 ერობამ ავანსების სახით სესხი უკვე მიიღო 32 მილ. მან. დარჩა სამი ერობა: სამურზაყანოს, ბორჩალოს და ახალციხის. საბოლოოდ ასი მილიონის განაწილება ერობების შორის დასრულდება, როდესაც ერობები წარმოადგენენ ყველა საჭირო მასალებს.

### ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა.

გუდაუთის და ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობები შუამდგომლობით შევიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მათ სამინისტროს სესხის სახით აღნიშნულ ქალაქების თვითმართველობებს მიეცეთ სესხი. გუდაუთის ქალაქის თვითმართველობის სამინისტრომ ასესხა ერთი მილიონი მანეთი, ხოლო ლანჩხუთს ნახევარი მილიონი მან. სამინისტრომ არ დააკმაყოფილა ყულევის ქალაქის თვითმართველობის თხოვნა, რადგან შუამდგომლობას თან არ ახლდა ქალაქის საბჭოს დადგენილება.

### ნიაღვარი ჭიათურაში.

ჭიათურიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ ივნისის რვას მოსულა დიდი ნიაღვარი. ქარიშხალით დაზიანებულა ქალაქის მარცხენა მხარე. დანგრეულა სახლები. ბევრი დარჩენილა უბინაოდ. წყალს მცხოვრებთათვის წაურთმევია საოჯახო ნივთები. ზარალი დიდია.

## მიწათ-მოქმედების სამინისტრო

### ყარაიაზის მამულის გამგე.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ყარაიაზის სახელმწიფო მამულის გამგე—მოურავად დანიშნა აგრონომი დავით სამადაშვილი. მის თანაშემწეთ პავლე კიკნაძე.

### სეტყვისგან დაზარალებულთა დახმარება.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო შევიდა მთავრობაში მოხსენებით თელავის და სიღნაღის მაზრებში სეტყვისგან მიყენებულ ზარალის დასახმარებლად მცხოვრებთათვის ათი მილიონის გაღებაზე. მცხოვრებთ ეს თანხა მიეცემათ სესხის სახით. ხსენებულ მაზრებში სამინისტრომ სპეციალურად გაგზავნა კომისია სტატისტიკოსებისა, სტატისტიკურ კომიტეტის თავმჯდომარის მანდელშტაინის ხელმძღვანელობით უკვე მიღებულ ოც მილიონ მანეთიდან მიწათ-მოქმედების სამინისტრომ რესპუბლიკის ერობებს გაუწია შემდეგი დახმარება. ფულად სესხის სახით 4.853.695 მან. თესლეულობით 43.093 ფუთი ხორბლეულობა სულ 20.858.529 მანეთი გაცემულ სესხიდან ერობებმა დააბრუნეს, ბორჩალოს გაშეერობამ 900.000 მ. ეროვნულ მამულმა 1 მილ. 100 ათასი მან. სულ დაბრუნებულია 2 მილ. 936.748 მანეთი.

### საბრეშუმო სადგური.

ტფილისის საბრეშუმო სადგურთან არსებულ საწყობის ფუნქციები გაფართოვებულია. სადგური მცხოვრებთ აწვდის მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის საჭირო საგნებს სოფლის მეურნეობისათვის მასალებს, იარაღს და მანქანებს. განზრახულია საწყობი დაექვემდებაროს მიწათ-მოქმედების აგრონომიულ დახმარების სექციას.

### ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ 1920 21 ფინანსიურ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშავა. მიწად-მოქმედების სამინისტრო აღნიშნავს, რომ სამინისტროს შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით იგი შემდეგ შემოსავალს მოელის: ტყის გაყიდვისაგან 95,635,180 მან. ღვინის სახელმწიფო მამულებიდან 46,747,250 მ. სახელმწიფო მამულებში ხორბალის მეურნეობის, მებოსტნეობის და კულტურულ-ტეხნიკურ მცენარეულობათა შემოღებისაგან 52, 165, 960 მან. ტყისა და გადასახადთა განყოფილებიდან მიღებული სხვა და სხვა ჯარიმა 311,000 მ. სხვა და სხვა წარმოებიდან განსაკუთრებით ბორჯომის სახელმწიფო მამულის ქარხნებიდან შემოსავალი ფული 200,101,766 მან. საერთოდ მიწათ-მოქმედების სამინისტრო ელის 502,387,213 მან. შემოსავლის უმთავრესი გასავალია პირადი შემადგენლობის შენახვა, სამეურნეო და საოპერაციო გასავალი და სხვა. მთელი გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 369,716,808 მ. წმინდა შემოსავალი ხარჯთ-აღრიცხვით უნდა დარჩეს 132,670,405. მან.

## დამფუძნებელ კრებაში

### საპროპაგანდო კომისია.

ოთხშაბათს, 9 ივნისს, დამფ. კრების პრეზიდიუმის კაბინეტში ა. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა კერძო თათბირი, რომელიც მოწვეული იყო დამფ. კრების პრეზიდიუმის და საპროპაგანდო კომისიის მიერ. თათბირს დაესწრენ სამეცნიერო დაწესებულებათა, ხელოვნების, და კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები, ფრაქციის ლიდერები და დამფ. კრ. წევრნი საქართველოს საზღვარ გარეთის დელეგაციის წევრმა ი. წერეთელმა საკითხი დასვა ქართული კულტურის სუსტ პროპაგანდის შესახებ ევროპაში, და ამავე დროს მიუთითა თათბირს იმ პრაქტიკულ ზომებზე, რომელთა მეოხებით შეიძლება ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო ერთხმად შეუდგნენ ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებას და მიანდო დამფ. კრ. პრეზიდიუმს მიიღოს თავის თავზე პროპაგანდის საქმის ტეხნიკურად ხელმძღვანელობა. თათბირზე გადაწყდა აგრეთვე დაამზადონ მასალები საქართველოს შესახებ კრებულის პირველ ტომისათვის, რომელშიც შევა მეცნიერული ხასიათის წერილები, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ლიტერატურის ისტორიიდან, პოეზიიდან და სხვა. კრებული გამოვა სამ ევროპიულ ენაზე.

### სამხედრო კომისიაში.

12 ივნისს, დღის პირველ საათზე მოხდება სამხედრო კომისიის და დამფ. კრ. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც განიხილავენ საკითხს ომში გაწვეულთა ოჯახების დახმარების და თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ.

### იძულებითი შესახლება.

დამფ. კრების იურიდიულმა კომისიამ უკანასკნელ კრებაზე განიხილა იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტი ბინებში იძულებითი შესახლების დროებითი კანონების შესახებ. საკითხის დიდი ხნის განხილვის შემდეგ კომისიამ მიანდო ქალაქის მოურავს, ჩხიკვიშვილს. აღძრულ საკითხის შესახებ თავისი პროექტის წარმოდგენა.

### ხელოვნების კომისიაში.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია პრეზიდიუმში შევიდა მოხსენებით სიძველეთა დაცვისა და აღდგენის შესახებ და კერძოთ საქართველოს ძველი ნაშთთა აღდგენა-დაცვის შესახებ. თავის მოხსენებაში ხელოვნების კომისია აღნიშნავს ქართულ ხუროთმოძღვრების განსაკუთრებულ თვისებებს და თავისებურ სტილს. საქართველოს ხუროთმოძღვრების ნაშთები იღუპება. იღუპება მაგ. მცხეთის სობორო, ჯრუჭის მონასტერი, ჯვარის მონასტერი, ბეთანია და სხვა სიძველენი. რადგანაც მონასტრებს არ აქვთ სალსარი შესაკეთებლად და დანგრეული ნაწილების აღსადგენათ, ხელოვნების კომისია, ეროვნულ სიმდიდრის დაცვისა და ქვეყნის კულტურული სახის შესანარჩუნებლად, დაჟინებით მოითხოვს იზრუნონ საქართველოს ხურო-მოძღვრების დასაცავად და აღსადგენად. ხელოვნების კომისია სასურველად სთვლის, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს საფონდო კანონ-პროექტი და ამ კანონ-პროექტით შევიდეს დამფუძნებელ კრებაში. ხელოვნების კომისია ამ საკითხს სთვლის მეტად სასწრაფოდ.

### დამფუძნებელი კრება.

11 ივნისისათვის დანიშნული სხდომა დამფუძნებელ კრებისა არ შესდგა, რადგანაც მრავალი დეპუტატი გაემგზავრა პროვინციაში.

### ახალი კანონ-პროექტები.

დამფუძნებელ კრების განსახილველად წარგენილია შემდეგი კანონ-პროექტები: 1) დეკრეტი ხაზინიდან 144,430 მან. გადადების შესახებ ერობათა გზების მოსამსახურეთადმი ზედმეტ მუშაობისთვის ჯამაგირის მისაცემად; 2) ყარაიაზის მამულების მოსაწყობად 9.360.000 მან. გადადების შესახებ, 3) არამიანცისათვის ჩამორთმეულ სახლის გამოსასყიდლათ 3 მილ. მან. გადადების შესახებ. 4) საგარეო საქმეთა სამინ. განკარგულებაში გადაცემა თანხისა, რომელიც საჭიროა კონსტანტინეპოლსა და მოსკოვში მყოფ საქართველოს მისიათა ხარჯების დასაფარავად და 5) სამუსულმანო საქართველოს შკოლების შენახვის შესახებ.

## დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

გერმანიის არჩევნები, რომელმაც უკიდურეს პარტიებს კარგი შედეგები მისცა, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ რეიხსტაგში მილერს საგრძნობი უმეტესობის ნახვა გაუჭირდება.

„ფოსიშე ცეიტუნგის“-ს სიტყვით ორმა დიდმა ქვანახშირისა და სალითონო გელზენკირხენისა და გერმანულ ლიუქსენბურგის სალითონო საზოგადოებამ დასდეს ხელშეკრულება, რაც მათ ინტერესებთა მჭიდრო კავშირს მოწმობს.

ინგლისში და იტალიაში მოელიან ფრახტის დაცემას. იგი ერთი მხრით გამოწვეული იქნება ტონაჟის ზედმეტობით, რომელიც 1920 წლის დასასრულს იქნება მთელ ქვეყანაზე. ნამდვილად საქვეყნო ტონაჟი ომამდე არსებულ ტონაჟს 30% აღემატება.

პრაგიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკთა მთავრობამ წარადგინა კანონ-პროექტი საგარეო ვაჭრობის განყოფილების ბიუროს შედგენის შესახებ. ეს ბიურო მოაწყობს: შეტანის და გამოტანის რეგლამენტაციას და კანტროლს და აგრეთვე ყველა საქონლის ტრანზიტს.

ბელგრადიდან მოსული ცნობის თანახმად მთელ სამეფოში საუცხოო მოსავალი იქნება, განსაკუთრებით პურისა. მოსალოდნელია მოსავალი აღემატება შინაურ საჭიროებას. ხორბლის მოსალოდნელმა გატანამ გავლენა იქონია ბირჟაზე.

საფრანგეთის ავიატორი როჟე, რომელიც ევროპის ირგვლივ გადაფრენას აწყობს ბერლინის აეროდრომზე ჩამოფრინდა და ისევ გაფრინდა ვარშავის მიმართულებით.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პატეკი პარიზში მოვიდა. მას აქვს რწმუნებულება მოლაპარაკება აწარმოოს სლოვაკთა საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშთან ტეშენის კონფლიქტზე თარის არბიტრაჟის შესახებ. პატეკის რწმუნებულება ძალაში რჩება, მიუხედავათ პოლონეთის კაბინეტის გადადგომისა.

ოფიციალური პრესა რამდენიმე დღის შემდეგ გამოაქვეყნებს სახელმწიფოს მიერ შეკრებილ გადასახადთა ჯამს, მიღებულს იმ მწარმოებელთა შემოსავლიდან, რომლებიც ომის დროს გამდიდრდენ. ეს ციფრები დამაკმაყოფილებელია და აღემატება აპრილში შეკრებილ 100 მილიონს. კიდევ მოელიან 120 მილიონს.

### სამხედრო ცნობა.

**მოსკოვი**, 1920 წ. 2 ივნისს, დისნის დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა ამ ქალაქის 10—20 ვერსის მანძილზე რიგი პუნქტებისა აიღეს. ბერეზინაზე შეჩერებულ იქნა მოპირდაპირის ცდა შეტევაზე გადმოსვლისა. კიევთან დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ ვავიწროებთ პოლონელებს, და რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ კოროსტენ-კიევის რკინის გზის ხაზზე. ფასტოვი ჩვენს ხელშია. ყრიმის რაიონში პერეკოპის და სივაშის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

### ფრანგული პრესა.

მარნის ნოჟანში ოთხშაბათს ახალშენთა მინისტრი დაესწრო ძეგლის გახსნას, რომელიც საფრანგეთისათვის დახოცილ ახალშენელ ჯარისკაცთა სახსოვრად აიგო.

საფრანგეთში სხვა და სხვა სურსათზე ფასის დაცემა გრძელდება. განსაკუთრებით სამხრეთ საფრანგეთში ეცემა ფასი ღვინოზე, ქერზე, საპონსა და ერბოზე.

**ლონდონი**, 7 ივნ. პარლამენტში ლოიდ ჯორჯი ამტკიცებდა რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენის საჭიროებას, რათა შეძლება გვექნეს იქიდან გამოვიტანოთ დიდძალი ხორბალი, პეტროლი—ხეტყისა და სხვა მასალაო.

„რეიტერი“ იუწყება: სალამოს მოლაპარაკება სწარმოებდა კაბინეტის ზოგი წევრისა, კრასინი მოხსენებას აკეთებს ტყვეების შესახებ.

**ვარშავა**, 7 ივნ. პოლონეთის შტაბის ცნობით პოლონელებს შუა ბერეზინაზე დაუკავებიათ რუშეცი. ბალშევიკები უკან იწევენ. მათ შუა ბერეზინის რაიონში მდინარე გადალახეს.

## უცხოეთი

### ქემალი და ქემალისტები.

სულთანის ირადეს გადაწყვეტილებით ქემალ ფაშისთვის მიუსაჯიათ სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ ქემალის შემდეგ მიმდევრებს: ყარა ვასსეფ ბეის, ალი ფუად ფაშას, ალფრედ რუსტემ ბეის და ექიმ ადნან ბეისთვის.

### ენვერ ფაშა.

გაზ. „ისტხლალ“-ის გადმოცემით ენვერ ფაშა ამ ჟამად იმყოფება მოსკოვში და ის მიღებულია საბჭოთა მთავრობის შტაბის შემადგენლობაში.

### ვილსონი და სომხეთი.

გაზ. „აშხატავორ“-ის გადმოცემით, ვილსონს პარიზის ელჩთათვის უცნობებია, რომ ის მზადაა მიიღოს არბიტრის როლი სომხეთის საზღვრების გადასაწყვეტად.

### შვეციის სოციალისტთა ლოზუნგები.

შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა პირველ მაისს წამოაყენეს ახალი ლოზუნგები: ვერსალის და სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულებების გადასინჯვა, რუსეთთან ბლოკადის მოხსნა, სიძვირესთან ბრძოლა და მთავრობის შემადგენლობის გამოცვლა.

### მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარი.

ჩერჩილს დეპუტატთა პალატაში განუცხადებია, რომ მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარები რეინთან სდგას 145 ათასი რიცხვის. აქედან 95 ათასი ფრანგები არიან, 20 ათასი ბელგიელები, 10 ათასი ამერიკელები და 14 ათასი ინგლისელები.

### საბჭოთა რუსეთის დელეგაცია პარიზში.

გაზ. „დეილი მელის“ გადმოცემით 19 მაისს პარიზში ჩასულა საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის აღმასრულებელი დელეგაცია. დელეგაცია უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ მიიღო. დელეგაციას პარიზში განუცხადებია, რომ ის არავითარ ინტერვიუს არ მისცემს და არც პროპაგანდას გასწევს ფრანგებს შორის.

### საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა.

20 მაისს პარიზში გაიხსნა საფრანგეთ-გერმანიის წარმომადგენელთა კონფერენცია. გერმანიის მხრივ ამ კონფერენციაზე არიან: დეიკი, ჰერგარდი, კოცენბერგი, ფონ-ვეინბერგი და გუტენგეიმერი; საფრანგეთის მხრივ: ლევი, მორტონა, ჟილე და კორდიე.

## ახალი ამბები

✦ **გეოლოგიური ექსკურსია.** ივნისის 5-ს საქართველოს მუზეუმის დირექტორის ყიფიანის ხელმძღვანელობით გაიმართა გეოლოგიური ექსკურსია, რომელსაც დაესწრო 15 კაცი. დაათვალიერეს კოჯრის მთა, დაბახანის ხეობა და ბოტანიკური ბაღი.

✦ **რესპუბლიკის კანონთა გადასინჯვა.** კანონთა გადამსინჯავ კომისიის მუშაობა მომავალ კვირის დასაწყისში დაიწყება. პირველ საკითხთა შორის განხილული იქნება პასპორტების წესდება, კანონები: ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულების და გათხოვება-გაყრის შესახებ. იუსტიციის სამინისტროში ამბობენ, რომ კომისია საკუთარ პასპორტის სისტემის გამომუშავებას ფიქრობსო. შესაძლებელია, რომ პასპორტის წესების გადასინჯვის დროს საგანგებო თათბირი მოიწვიონ.

✦ **საპყრობილის საყარაულო გუნდი.** იუსტიციის სამინისტრო დამფ. კრებაში კანონ-პროექტით შევიდა საპყრობილის სპეციალურ საყარაულო გუნდის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. თანახმად პროექტისა გუნდი შესდგება 459 კაცისაგან და ტფილისის, ქუთაისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საყარაულო სამსახურს ასრულებს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ პროექტი მოიწონა და დაადგინა შეიტანოს განსახილველად დამფ. კრ. საერთო სხდომაზე.

✦ **ბათუმი.** აქ მოვიდა პოლკოვნიკი პ. ვრანგელის სპეციალურ მონდობილობით. მან განაცხადა რომ ვრანგელის ჯარმა უკვე ნახა კერძო ხასიათის გამარჯვებანი პერეკოპის და მელიტოპოლის მიმართულებით. სლაჩევის კორპუსის ნაწილები სადგურ სალკიდან მელიტოპოლისაკენ მიიწევიან. ამიტომ ყირიმში სასურსათო კრიზისის შესუსტებას მოელიან.

✦ **მასწავლებელთათვის მიწის დარიგება.** ტფილისის ერობის საშუალო განყოფილებამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე აღძრა საკითხი ერობის სახალხო შკოლების მასწავლებელთათვის მიწის დარიგების შესახებ.

✦ **დახმარება სახელმწ. მოსამსახურეებს და მუშებს.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში გაირჩა შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტი დეკრეტისა, რომლის ძალითაც სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს მიეცემათ დახმარება ერთი თვის ჯამაგირის სახით, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან პროექტი დასკვნისათვის შრომის და საფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანსო საბიუჯეტო-კომისიებს გადაეცა დამფ. კრების საერთო სხდომაზე განსახილველად. ეს პროექტი ალბად 15 ივნისს, სამშაბათს, დაისმება.

**დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეთადმი პენსიის გადიდება.** შრომის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის გამოანგარიშების დროს ყოველი არსებული პერიოდის საშუალო ჯამაგირიდან უნდა გამოვდიოდეთ. ასეთ საშუალო ჯამაგირს ქალაქებისათვის წარმოადგენს—2.700—3000 მ., სოფლებისათვის კი 1800—2000 მ. ამ განმარტების თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაფერი განკარგულება გასცა იმ დაწესებულებისადმი, რომლებიც პენსიის მიცემის საქმეს განაგებენ.

**სარძევე ფერმების კონტროლი.** ქალაქის თვითმმართველობის საექიმო-სასანიტარო და სასურსათო განყოფილება წინადადებას იძლევა შედგენილ იქნეს გაერთიანებული ორგანო რძის პროდუქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი გაყიდვის საკონტროლოთ. მოწყობილი იქნება სპეციალური ბაქტერიოლოგიური სალაბორატორიო პუნქტი. ეს ორგანო სარძევე მეურნეობაში მახლობელ სოფლებს ხელმძღვანელობას გაუწევს.

**ფეხსაცმელები მცხოვრებთათვის.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო იტალიის ფირმის ფეხსაცმელები. ეს ფეხსაცმელები ერთი კვირის შემდეგ დაურიგდება ქალაქის დუქნებს გასაყიდათ.

**ფანქარი.** სასურსათო განყოფილებამ მიიღო ფანქრის დიდი პარტია. ფასები შემდეგია. შავი—13 მან. ქიმიური—16. დაწესებულებებს ფანქარს ბითუმად მისცემენ.

**ფანჯრის მინა.** სასურსათო განყოფილებამ მიიღო დიდი ზონის ბემის ფანჯრის მინა. ეს მინა ამ დღეებში გაიყიდება.

**ბოროტ-მოქმედება ბარათებით.** სასამართლო პალატის პროკურორმა შრომის სამინისტროს შეკითხვით მიმართა იმ პირთა შესახებ, რომელმაც ყალბი ცნობები წარადგინეს ზედმეტი სურსათის მისაღებათ. ფიქრობენ ყველა ის პირი, ვინც სასურსათო ბარათების ბოროტ-მოქმედებაში მონაწილენი აღმოაჩნდება პასუხისგებაში მისცენ.

**წისქვილის აშენება.** ერობათა კავშირის ინიციატივით სადგურ ბადიაურთან შენდება დიდი წისქვილი. წისქვილი იმუშავებს მოტორით და წყლითაც. გაიგზავნენ ტეხნიკის-სპეციალისტები წისქვილის მოსაწყობად.

**საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია.** საქართველოს მოქალაქე-ქვეშევრდომთა რეგისტრაცია სამხედრო უფროსთან ფრიად გაცხოველებულად მიდის. სამხედრო უფროსის სამმართველოში სხვათა შორის აღნიშნავენ, რომ ყველას, ვინც კი იქ მიდის აუცილებელი საბუთები არა აქვს, ამიტომ მართველობა იუწყება, რომ უნდა წარდგენილ იქნას საბუთები, რომელნიც დაამოწმებენ დაბადების დროს, ან ხნოვანობას, ე. ი. მეტრიკული ამოწერილობა, ან საოჯახო სია. უნდა აღნიშნულ იქნას საცხოვრებელი ადგილი და კომისარიატი. მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ გამოგზავნონ სია მოსამსახურეებისა, მაგრამ ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პირადი მოსვლა სარეგისტრაციოთ დაწესებულების მუშაობისთვის საზარალო იქნება. 1875—1882 წელში დაბადებულნი რეგისტრაციის დროს ჩაითვლებიან მოლაშქრეთ და 1883—1897 წლის კი სათადარიგოთ.

**საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია.** განათლების მინისტრის მიერ შემუშავებულია კანონი, რომელიც ეხება ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის სახელწოდების შეცვლას საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიით.

**განსაკუთრებული ტეხნიკური კომიტეტი.** დამფ. კრების პრეზიდიუმში შევიდა ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი, იმ განსაკუთრებულ ტეხნიკური კომიტეტის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, რომელიც დაარსებულია ფინანსთა, და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტროსთან. პროექტი, და ამასთანავე ერთად წარმოგენილი დებულება, დასკვნისათვის იურიდიულ და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებს გადაეცა. ტეხნიკური კომიტეტის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 129,600 მან.

**ტფილისის სასამართლო პალატის გაფართოება.** იუსტიციის სამინისტრო პროექტით შევიდა დამფ. კრებაში ტფილისის სასამართლო პალატის გაფართოების და მისი შტატის გადიდების შესახებ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ პროექტი დაადასტურა.

**რესპუბლიკის თავდაცვით საბჭოში.** რესპუბლიკის თავდაცვით საბჭომ 15 მილ. მან. შემდეგნაირად გაანაწილა: ტფილისის ქალაქის თვითმართველობას 500,000 მან., გორის ერობას 147840 მან., დუშეთის—425700 მან., თელავის—859,200 მან., თიანეთის 233,600 მან., სიღნაღის—1724600 მან. ახალციხის—269.600 მ. ბორჩალოს—461.600 მ., ახალქალაქის სამაზრო კომისარს—459,900 მან., ქუთაისის ერობას—2206800 მან., ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას—18000 მან., ლეჩხუმის ერობას 344800 მან., სენაკის—607,200 მან., ზუგდიდის—554,400 მან., ოზურგეთის—713,700 მან., შორაპანის—127800 მან., რაჭის – 231,300 მ., ფოთის ქალაქის თვითმართველობას—45000 მან., სოხუმის ერობას—256,800 მან., სუხუმის ქალაქის თვითმართველობას—25000 მან.

**ჯანმრთელობის დეპარტამენტი.** დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ. დეკრეტის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომლის შესანახადაც მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 1921 წლ. 1 ივნისამდე გადადებულია 2,968,504 მან. ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებისათანავე უქმდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილება.

# ერობა

## ერობის სტატისტიკა.

საქართველოს ერობათა კავშირმა აცნობა ყველა ერობას, რომ ერობათა კავშირის კომიტეტთან დაარსდა სტატისტიკური განყოფილება, რომელიც ისახავს მიზნათ: ცენტრალურ-სტატისტიკურ საბჭოში და კომისიებში ერობის წარმომადგენლობის მოწყობას, რომელსაც დაევალება საბჭოს პროექტების კრიტიკული განხილვა. სახეში მიღებული იქნება: 1) ერობის ინტერესები, 2) სტატისტიკური საკითხები, ერობათათვის რჩევის მიცემა იმ პროგრამების და ფორმის მიხედვით, რომელსაც დაადგენს სტატისტიკური საბჭო, 3) ერობის მეურნეობის ფართედ შესწავლა, რაც საჭიროა ერობათა სამეურნეო ინტერესების მიზანშეწონით დასაკმაყოფილებლად, თუ გინდ საქონლის ყიდვაში და გაწესრიგებაში, 4) ერობათა კავშირის სავაჭრო ოპერაციების და მისი წარმოების მოქმედების სტატისტიკური აღწერა, 5) ერობათა კავშირის კომიტეტის საჭიროების დაკმაყოფილება სტატისტიკური ცნობების მიწოდების სახით. ამ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელოვანია ფასის სტატისტიკა.

## სათბობი სითხე.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დირექტორმა ყველა ფაბრიკა-ქარხანას, რომელთაც შინაგან წვის მამოძრავებელი აქვთ წინადადებით მიმართა, რომ სითხიდან გადავიდნენ მაგარ სათბობზე. სითხიდან მაგარ სათბობზე გადასვლა მოუხდებათ აგრეთვე ქალაქის დაწესებულებებს, რის გამო სითხის ხმარება 58% შემცირდება.

# მუშათა ცხოვრება

## უმუშევართა ფონდი.

წინასწარი ანგარიშით უმუშევართა სასარგებლოდ შრომის ბირჟას შეუკრებია 80,000 მან. რადგანაც ეს თანხა უმუშევართათვის უფასო სასადილოს მოსაწყობად არ კმარა, ამიტომ შრომის ბირჟამ გადასწყვიტა რამდენიმე წარმოდგენა - კონცერტი გამართოს. შრომის ბირჟამ გადასწყვიტა, რომ რაიმე წარმოების დაწყება, სადაც საქმეს უშოვნიან უმუშევართ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც უმუშევართა ფონდი 400—500 ათას მანეთს მიაღწევს. ეხლა შრომის ბირჟასთან არის შესაკინძი, კოლოფის და კონვერტების სახელოსნოები. ამ სახელოსნოებში ყოველ დღე სამუშაო აქვს ათ უმუშევარს.

## მუშათა უფასო წამლობა.

შრომის სამინისტრომ სახელმწიფო კანტროლს თხოვნით მიმართა, რომ მან ფოთში თავის წარმომადგენელს შესაფერი განკარგულება გაუგზავნოს, რათა მან ნავთსადგურის მართველობის მიერ მუშათა საექიმოთ გამოწერილი ასიგნოვკები გამოუშვას. შრომის სამინისტროს თხოვნა წარმოსდგა ნავთსადგურის მუშების განცხადების გამო, სადაც ნათქვამი იყო, რომ დღიურ მუშებს ნავთსადგურის სამმართველო არ უწევს უფასო საექიმო დახმარებასო.

პროფესიონალურ კავშირთა სხვა და სხვა გამგეობებმა შრომის სამინისტროს და პროფ. კავშირის საბჭოს მიმართეს განცხადებით, სადაც აღნიშნავენ, რომ კანონი მუშების დაზღვევის შესახებ (ავადმყოფობის შემთხვევის დროს) არ ვრცელდება ისეთს შრომის კატეგორიებზე, როგორც არიან მაგალ. სავაჭრო-სამრეწველოებისა, ხელზე მოსამსახურენი და საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურენი. ამავე დროს ეს ძლიერ საჭიროა და ამიტომ აუცილებელია კანონმდებლობითი ნორმა დაზღვევისა უბედურ შემთხვევებისა და ავადმყოფობის დროს. ამიტომ პროფ. კავშირები ითხოვენ, რომ დაზღვევის კანონი მოკლე ხანში ყველა დაქირავებულ მოსამსახურეებზე გავრცელდეს.

## მუშათა პრეტენზიები.

შრომის სამინისტრომ იუსტ. მინ. მიმართა თხოვნით, რომ მუშათა და მოსამსახურეთა საქმეები პრეტენზიებით 1919 წლ. 30 იანვ. კანონის თანახმად, სასამართლოს უწყებებმა გაარჩიონ რიგს გარეშე. შრომის სამინისტრო აღნიშნავს 30 იანვ. კანონის დარღვევის ხშირ შემთხვევებს. ამ კანონის თანახმად მობილიზაციით ომში გაწვეულებს ხელფასის ნახევარი ეძლევათ და აგრეთვე ადგილი ენახებათ. ამ კანონის დარღვევის გამო, მუშები და მოსამსახურეები იძულებულნი არიან სათანადო საჩივრებით მიმართონ სასამართლოს უწყებებს. ამ კატეგორიათა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო შრომის სამინისტრო ითხოვს, რომ ეს საქმეები რიგს გარეშე იყოს განხილული.

## ჯამაგირების გათანასწორება.

შრომის სამინისტროს წინადადებით მთავრობამ დაადგინა ხელფასის შესახებ საკითხის საერთოთ განხილვამდე სახელმწიფო დაწესებულებების დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირები გაუთანასწორონ და ტფილისში, სოხუმში, ქუთაისში და ფოთში დაწესდეს 1960 მან. და დანარჩენ სხვა ადგილებში 1736 მან. შესაფერი კანონ-პროექტი შეტანილი იქნება დამფუძნებელ კრებაში.

# ფრონტისათვის

## ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

გ. ბერიძე 3,000 მან., თ. მასხარაშვილი 3,000 მ., უჩა დადიანი 50 მ., კ. ბერიძე 100 მან., ა. შატილოვი 100 მ., გ. ჯოჯრია 500 მან., მ. ჯაფარიძე 200 მ., ვერ. ავალიანის 3,500 მ., პროფეს. კავშ. „საერო“ კავშირის მუშა-მოსამსახურ. 15.000 მ., ქალ. მილვიკანდე-ილარსონ 500 მ., ხაშკოვი ნ. ი. 1000 მ., კიხიჩენკო 100 მ., გვამიჩავა 500 მ., მიქაშავიძე 150 მ., ჩალაკანიძე 150 მ., ირ. პოპოვი 100 მ., გ. ჩახავა 500 მ., № 100 მ., ზაქ 100 მ., ვლ. საყვარელიძე 200 მ., მ. ბარბაქაძე—100 მ., ივს. ხახუტაშვილი 50 მ., დ. ბაქრაძე 100 მ., ნალჩაკოვი 100 მ., ლოლაძე 50 მ., ირონაშვილი 50 მ., ვლ. წერეთელი 50 მ., ის. რამიშვილი 50 მ., უცნობი 58 მ., გორგაშვილი 25 მ., ივ. მეძმარიაშვილი 100 მ., ი. ლომინაძე 100 მ., ნ. ყიფიანი 200 მ., მუხავარი 100 მ., მ. ი. კალანდარიშვილი 500 მან.

ხაშურის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან: პაპიროსები 56 ყუთი; თამბაქო $1^1/_2$ გირ., მახორკა 5 შეკ. პაპიროსის ქაღალდი 120 წიგნაკი; ხელის საპონი 3 ცალი; სარეცხის საპონი 6 გირ., ასანთი 171 ცალი; ჩაი $^1/_2$ გირ. ფანქარი 20 ცალი; კონვერტი 144 ცალი; ფოსტის ქაღალდი 286 ცალი; მუშტუკი 2 ცალი; წიგნები 13 ცალი; წინდა 2 წყვილი.

ერობათა კავშირის კომიტეტისაგან: თამბაქო 20 ფუთი; პაპიროსის ქაღალდი 2918 ცალი; პაპიროსი „მარსი“ 300 ცალი; ასანთი 300 ცალი; პაპიროსი 60 კოლოფი; ასანთი 35 ცალი.

P. S. აქ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს, კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს, ტფილისი, სასახლე.

# ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება

## ბირჟა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ შემდეგი კოტიროვკა მოგვცა ტფილისის ფულის ბაზარის შესახებ. სტერლინგი—ბანკნოტი 1,400 მ. ჩეკი—1300. ფრანგული ფრანკი. ქაღალდის 28 მან. ჩეკი—23. იტალიის ლირა 18 მან. 50 კ. ჩეკი—17 მ. თათრული ლირა: ოქრო—1,650 მ. ქაღალდის 325 მ. ჩეკი—300 მან. ამერიკის დოლარი ქაღ. 350 მან. ჩეკი—330 მ. გერმანული მარკა—8 მან. ნიკოლოზის მანეთი: თუმნიან ოქრო 1950 მან. 100—380 მან. 500—1900 მან.

## ფასის დაწესება თამბაქოზე.

9 ივნისს სააქციზო სამმართველოში თამბაქოს ფაბრიკანტთა თანადასწრებით სააქციზო გადასახადის შეცვლის გამო განიხილეს საკითხი: 1, მე 2 და მე 3 ხარისხის თუთუნზე და პაპიროსზე უდიდეს ფასების დაწესების შესახებ. საკითხის განხილვის დროს დაისვა სამი წინადადება: 1) სააქციზო გადასახადი დაედოს ყოველ ფუთ ფოთლოვან თამბაქოს, რომელიც ფაბრიკაში იქნება დასამუშავებლად მიტანილი თამბაქოს ნაწარმოებებზე გასაყიდი ფასის დაუდგენლად. ამის უფლება უნდა მიეცეს ფაბრიკანტს, 2) დადგენილ იქნას თუთუნსა და პაპიროსზე გაყიდვის უდიდესი ფასი თამბაქოს წარმოების ყველა ელემენტის ნამდვილი ღირებულების და მიხედვით ე. ი. ნედლი მასალის, მუშა ხელის და აქციზის მიხედვით. ამას უნდა მივუმატოთ საკომერციო მოგების განსაზღვრული პროცენტი ფაბრიკანტის სასარგებლოდ, 3) დადგენილ იქნას გაყიდვის უდიდესი ფასი მხოლოდ პირველ სამ ხარისხ თამბაქოზე და სურვილის და მიხედვით დარჩეს უმაღლეს ხარისხის ფასი. ამასთანავე კონკრეტიულად დასახულია შემდეგი ფასები: მეორე ხარისხის პაპიროსებზე გაყიდვის უდიდესი ფასი 1000 ცალზე—800 მან. მესამე ხარისხის პაპიროსებზე 1000 ცალზე—600 მან. თათბირის ოქმი შიგ გამოთქმულ წინადადებით წარდგენილია ფინანსთა მინისტრის საბჭოს განსახილველად და საბოლოო დასამტკიცებლად.

# თეატრალური ქრონიკა

**თეატრი და ცხოვრების საღამო.** დღეს არტისტიულ თეატრში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრები“-ს 10 წლის არსებობის აღსანიშნავად იმართება დიდი სალიტერატურო-სამუსიკო საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილი იქნება ი. იმედაშვილის ერთ მოქმედებიანი პიესა „ალების ცეკვა“ და სხვა. პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი.

**ოპერა "ლალატი".** მომავალ საოპერო სეზონში სახელმწიფო თეატრში დაიდგმება ქართულ ენაზე იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ლალატი“. ოპერას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.

**ოპერა „თამარ ცბიერი“.** განზრახულია მ. ბალანჩივაძის ახალი ორგინალურ ოპერის „თამარ ცბიერის“ დადგმა.

**სახელმწიფო თეატრი.** სახელმწიფო თეატრის ანტრეპრენიორ ს. ევლახიშვილთან დადებული ხელშეკრულება 1 ივლისს თავდება. მკვდარი სეზონის განმავლობაში თეატრის შეკეთება მოხდება. შემოდგომის სეზონი გაიხსნება სექტემბრის დამლევს. ფიქრობენ, რომ თეატრს იჯარით აღარ გასცემენ. ღებულობენ ზომებს სახელმწიფო თეატრის ორკესტრისა და ხორის გასადიდებლად.

# სასამართლოში

## სია გორის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის-გასარჩევად დანიშნულ საქმეებისა.

### 23 ივნისს სამოქალაქო საქმე.

აპელაციური საჩივარი გიო და მათე კუჭაძეებისა ანდრო და სხვ. ქიმერიძეებთან მამულის ძიებაზე 42. აპელაციური საჩივარი ანნა ამირეჯიბისა—გაბრიელ როინაშვილთან 1890 მან. ძიებაზე 233. აპელაციური საჩივარი გაბო ხაჩირაშვილისა—გიგუცა და სხვ. ბეკოშვილებთან—მამულის საკუთრებაზე 264. აპელაციური საჩივარი გიორგი ბეროზაშვილისა—ბესო გოგოლაძესთან—წისქვილის განთავისუფლებაზე 409. აპელაციური საჩივარი ივლიტა ელიოზიშვილისა ზაქარია ქუმარიტაშვილთან—მფლობელობის აღდგენაზე 494.

### 24 ივნისს სამოქალაქო საქმე.

აპელაციური საჩივარი ივანე და პეტრე ტოფჩიაშვილებისა ივანე ჯაფარაშვილთან მამულის განთავისუფლების ძიებაზე 466. აპელაციური საჩივარი იაგორ გოგოტაშვილისა სოლომონ გოგატიშვილთან—მამულის ძიებაზე 67. აპელაციური საჩივარი იოსებ თუშმალიშვილისა—ბოქაულ ანოხინის უკანონო მოქმედებაზე 75. აპელაციური საჩივარი ალექსანდრე ციცქერიძესი და სხვ. გრიგოლ ქურდაძესთან—მამულის ძიების შესახებ 505.

### სისხლის სამართლისა.

საჩივარი გორის მაზრის ერობისა—ვალერიან ვაჩიბერიძესთან და სხვ.—ქურდობის ბრალდებაზე 76.

**25 ივნისს სამოქალაქო საქმე.**

აპელაციური საჩივარი გიო გრიგოლაშვილისა—ყარამან ნოზაძე და სხვ. სამ ნაჭერ მიწის ძიებაზე 35. აპელაციური საჩივარი კონსტანტინე ჯიქურაშვილისა ილია ღვინიაშვილთან—სახლის დაცლის ძიებაზე 85. აპელაციური საჩივარი დათუა და სხვ. ზარიბეგაშვილებისა ალექსანდრე მამუჩარაშვილთან მფლობელობის დარღვევაზედ 92. აპელაციური საჩივარი დომენტი დ სხვ. კიკნაძეებისა—ალექსანდრე მაკალატიასთან—ავეჯეულობის შესახებ 501. კერძო საჩივარი ლექსო რომანიშვილისა—მოსე ილურიძესთან—მამულის ძიების შესახებ 523.

# მილიციაში

ქალაქის გამგეობის ტეხნიკურ განყოფილების მთავარი მოანგარიშე—საქმის მწარმოებელი ა. შახნაზაროვი, რომელიც საპატიმროდან გაანთავისუფლეს 55000 მ. თავდების ქვეშ, 9 ივნისს ისევ დააპატიმრეს. ქალაქის გამგეობის ხმოსანმა ფ:ნიევმა აღმოაჩინა შახნაზაროვის ახალი ბოროტ-მოქმედება, ეხლა უკვე ქალაქის გამგეობის საზარალოთ და არა მეწისქვილეების, რაშიაც მანამდი ედებოდა ბრალი შახნაზაროვს.

— 10 ივნისს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა იოსებ დავითიანცი, რომელსაც ბრალდებოდა ეკ. დავიდოვას ბინიდან 4,000 მ. ღირებულ ნივთების მოპარვა. ნივთების ნაწილი აღმოჩნდა და პატრონს გადაეცა. საქმე სასამართლოს გადაეცა.

— სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა: სამხედრო უფროსის სამმართველოს უმცროსი მილიციელი ივანე ციციშვილი და მოვაჭრე არამ კოჩიანცი. პირველს ბრალდება 3 ფ. შაქრის მოპარვა სამხედრო უფროსის სამმართველოს ცეიხგაუზიდან ღირებული 12,000 მან., მეორეს მოპარულ შაქრის ყიდვა. საქმე გადაეცა სათანადო მომრიგებელ მოსამართლეს.

ბაქოელმა ვაჭარმა კიარიმ ბეგ სულთანოვმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მან ბაქოდან ტფილისით გაუგზავნა ინგლისელ ფირმის „ბეკერი და ამხ." ბათომში ათი ვაგონი ბრინჯი, მაგრამ ადერბეიჯანში მომხდარ ამბების გამო საქონლის გაგზავნა შეჩერდა. „ბეკერი და ამხ." თხოვნით სულთანოვმა საბუთები დროებით წარმომდგენზე გააკეთა.

„ბეკერი და ამხ." რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რათა მიეცათ საქონლის გატანის ნებართვა. საქონლის გასაყოლად ტფილისში დარჩა სულთანოვის ნოქარი სერგი აბრამოვი, რომელმაც ორი ზედნადები (ნაკლადნოი) გააკეთა თავის სახელზე, მიიღო ბრინჯი და გაყიდა $2^1/_2$ მილ. მან, ამ გაყიდვაში მონაწ. მიუღია ნაუმ მელნიკოვს, რომელსაც ერთი ვაგონი ბრინჯი „კოოპერატივთა კავშირი"-სთვის მიუყიდნია და მეორე სხვა და სხვა პირთათვის. მიღებულია ზომები დამნაშავეთა მოსაძებნათ. საქმე სასამართლოს გადაეცა.

## განცხადებანი

დაიკარგა უვადო პასპორტი № 389 ინჟ. სამუილ ლეიბის ძე გუტმანის სახელზე, მიღებული პეტერბურგის ოხტენის ნაწილის ბოქაულისგან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1387 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ივანე ბეჟანის ძე ფალავანდიშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, მიცემული შორაპნის მაზრის უფროსისგან 1907 წ. 24 ნოემბერს № 611 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიცემული ქუთაისის სამაზრო სამხედრო უფროსისგან 22 ოქტომბერს 1918 წ. ზედ აღნიშნული ალფავიტის № 21—1899 წ. სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 550 3—3

მომარაგების სამინისტრო აცხადებს, რომ მოწმობა № 1638 მიმდინარე წლის 19 თებერვლის თარიღით მიცემული, რომელიც ანიჭებდა თამბაქოს ქარხანას „სლონს" საქართველოს რესპუბლიკის პროვინციებში 2.500 ფუთი თამბაქოს შეძენის უფლებას, უნდა ჩაითვალოს გაბათილებულად. 616 3—3

დაიკარგა პასპორტი მარტინ სერგის ძე მარკარიანცის სახელზე მიღებული ოდესის ქალაქის უფროსისაგან (გრადონაჩალნიკისაგან) 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1419 3—2

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის ოცს, დილის ათს საათზე (ეგზარხის მოედანი, მანთაშევის სახლი) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოუთხოვნელ საქონელზე, რომელიც მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდში გასაგზავნად ტფილისის კანტორის კვიტანციით № 6528639, საქონელი შეიცავს 94 ტომარა ცხვრის ტყავს, გაუკეთებელს მშრალს. საქონლის დათვალიერება შეიძლება 15 ივნისიდან ყოველ დღე 10—1 საათამდე. 1414 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი სოფლის ქუჩაზე, № 9 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გაბო ოძელაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1342 3—2

დაიკარგა გორის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი ფილიმონ ნიკოლოზის ძე კიკნაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1368 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ივანე და სოფიო გვარამაძეების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 3370, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1371 3—2

დაკარგულია პირადობის მოწმობა, მიღებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელისაგან ქ. ბაქოში 1919 წ. სამხედრო ბეგრიდან თავისუფლობის მოწმობა, მიღებული, შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, და სამთოშტეიგერობის წოდების მოწმობა, მიღებული კავკასიის სამთო სამმართველოდან ილია (ილიკო) სპირიდონის ძე მხეიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1383 3—3

დაიკარგა პასპორტი ლევ ლეონტის ძე როზენ ფელდის სახელზე, მიღებული პავლოგრადის (ეკატერინოსლავის გუბ.) მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1411 3—3

დაიკარგა პასპორტი სოლომონ სოლომონის ძე, ლანდაუს სახელზე, მიღებული ნიდერლანდიის გენერალურ საკონსულოდან ქ. კონსტანტინოპოლში 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1398 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 130, ბეგლარ პოლოსის ძე ადამაშვილის სახელზე, მიღებული ტფილს მაზრის სამხედრო უფროსისაგან 1920 წელს. გაუქმებულად ჩაითვლება. 1408 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ეფემია ივანეს სულის პეტროვას სახელზე, მიღებული კავკავის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 1386 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, სუპ-კარაპეტის შესახვევში, № 14, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ნ. გოგიაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1405 3—2

დაიკარგა ფერშლის მოწმობა № 3572, ვლადიმერ კონსტანტინეს ძე გოგოძის სახელზე, სურამის ადგილობრივ ლაზარეთიდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1399 3—2

დაიკარგა პასპორტი გერასიმე კოსტას ძე კობახიძის სახელზე, მიღებული ბუგელის საზ. (რაჭის მაზრა) ვომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1439 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2338 ანა ტიმოთეს ასული ტამბოვცევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1442 3—1

ტფილისის ოლქის მომრიგ. მოსამართლეთა ყრილობის სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოიკსი ამით აცხადებს, რომ მის მიერ 22 ივნისს 1920 წ. დილის 10 ს. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ისლამ აბბას ოღლის და სხ. მოძრავ ქონების გასაყიდად, რომელიც შესდგება ავეჯეულობისაგან და ხილეულობის მაღაზიის საქონლისაგან. (მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე № 22) რაც შეფასებულია 182400 მან. ვაჭრობა მოხდება მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტი № 22. 1341

დაიკარგა საბინაო დავთარი ფასანაურის დუშეთის ქ. კუთხეში № 1—15 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის იოსებ აღნიაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1389 3—2

დაიკარგა საბინო დავთარი პოტოჩნი შესახვევში № 5, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ხეთაგუროვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1390 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ევდოკია კუზმას ასულის ვოლკოვას სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამართველოდან 1919 წელს ოქტომბრის 25. გაუქმებულად ჩაითვლება. 1385 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი უკვე გარდაცვალებული არამ ივანეს ძე ნალბანდოვის მამულის, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. რეესტრით № 1465, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1427 3—1

დაიკარგა გამწვევი სიის უწყება № 1, ივანე ზაქარიის ძე ქადაგიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მე-XI უბნის კომისარიატიდან 1 მარტს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1430 3—1

დაიკარგა ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული 1 იანვარს 1920 წ. № 218. ვაჭრობის ნებართვა, მეერ იოსების ძე გორენშტენის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1431 3—1

დაიკარგა მოწმობა № 936, ჯარში გასაწვევ ნაწილის მიწერილობაზე კონსტანტინე სოკოლოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალ. გამგეობიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1434 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ვახტანგის ქუჩაზე № 14 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ტერ-გალუსტოვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1332 3—1

დაიკარგა პასპორტი რაფაილ ოგანესისძე აბგარიანცის სახელზე, მიღებული ერევნის მილიციის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1438 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი შვინდის ქუჩაზე, № 9, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სიმონ ჩილაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1412 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1 კარლოს იაკოფის ძე კრიგას სახელზე, მიღებული ასურეთის რაიონის კომისარისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1417 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 136, გრიგოლ ივანეს ძე ჭკადუას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიც. უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1426 3—2

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ მინას ძე ქოხონელიძეს სახელზე, მიღებული პატარა ონის საზოგადოებიდან (რაჭა). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1403 3-2

დაიკარგა 1. პასპორტი ივანე ნაზარეს ძე ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ვილნოკოვნოს სახელმწიფო მამულთა სამმართველოდან 1914 წ. და 2. პილდეგორდ იულიას ასული ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ჩერკასის (კიევის გუბ.) სამაზრო პოლიციის სამმართველოდან. 1903 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1404 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკული ამონაწერი—ალექსანდრე სიმონის ძე ჩარგიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1429 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა დავით თომას ძე ხუციშვილს სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობის სამხედრო განყოფილებისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1443 3—1

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 22 მარტს 1919 წ. გარდაცვალებულის მცხოვრების ნაესაკოვის თემის, სენაკის მაზრის, ივანე ანდრიას ძე ესაკიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ესაკიას ქონებაზე მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 535 1—1

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 5 იანვარს 1919 წ. გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. კვათანაში, სენაკის მაზრის, ნიკიფორე ივანეს ძე მასხულიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მასხულიას ქონებაზე მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 534 1—1

ზუგდიდის უბნის მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით, 28 აპრილიდან 1920 წლისა, გაუქმებულია ვექილობა, მიცემული მიხეილ თემურაზის ძე კაჭარავას მიერ-პეტრე ხახუს ძე ქვანია, გახა ნიკოს ძე შენგელია და ანდრია გიორგის ძე ფიფიასადმი, საქონლის ყიდვისა, ვექსილების და პირობების გაცემისა და საქმეების წარმოებისა, გამოცხადებული ზუგდიდის ნოტარიუსი კუპრაშვილის კანტორაში 3 თებერვალს 1920 წლისა, რეესტრით № 23. 503 1—1

დარანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"-ში იწვევს გარდაცვალებულ პეტრე და ალექსანდრე ბეჩუნიას ძე ჯგერენაიას მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჯგერენაიას ქონებაზე. 0185 1—1

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ჩოხატურის რაიონის მილიციის უფროსისგან და მოწმობა მიღებული ოზურგეთის მაზ. მეოთხე პოლკის უფროსისაგან სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ ჯიმშეთი თედორეს ძე ხემეიშვილის სახელზე მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 538 1—1


# თევზი

## დამარილებული ჭანარი, (საზანი)

საუკეთესო ხარისხისა

## იყიდება ძლიერ იაფად, გითუმათ და გოჭკოფით.

სომხთა ბაზარში—ძმ. მანთაშევების ქარვასლა. დღის 10—1 საათამდე. 640 2—2


# ვაჭრობა-მრეწველ. დეპარტამენტი

წინადადებას აძლევს სამრეწველო დაწესებულებათა ყველა მესაკუთრეებს ანუ მოიჯარადრეებს და აგრეთვე იმ სახელოსნოებს, რომელთაც, თანახმად ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის განცხადებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში 9 ივნისს № 126, უფლება აქვთ მიიღონ ნავთის ნაწარმოებნი: ჩვეულებრივი ნედლი ნავთი, კეროსინი, სურახნის ნავთი, საცხები მასალები და სხვა, არა უგვიანეს ორი კვირისა (დღიდან ამის განცხადებისა) მოაწოდონ დეპარტამენტს შემდეგი ცნობები:

1) სახელწოდება სამრეწველო დაწესებულებისა, მისი მესაკუთრისა, ანუ მოიჯარადრისა;
2) ადგილ-სამყოფი და საფოსტო მისამართი;
3) რა მიზნისათვის საჭიროებს ნავთის ნაწარმოებს;
4) თვითეულ ხსენებულ მასალის თვიური მოთხოვნილება;
5) რომელ დაწესებულების სახელზე (ვისი მისამართით) უნდა გაეგზავნოს ნავთის ნაწარმოები.

ის დაწესებულებანი, რომელნიც არ წარმოადგენენ ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტში ზემო მოყვანილ ცნობებს, შეტანილი არ იქნებიან ნავთის ნაწარმოებთა განაწილების მორიგ გეგმაში. 642 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.